



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	11
ფულადი ბაზარი	14
მონეტარული აგრეგატები	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის მაისში წლიური ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს ჩამოცდა და 1.5% შეადგინა, ხოლო აპრილთან შედარებით ფასები 0.1%-ით შემცირდა.

საქართველოში ინფლაციას შემცირების ტენდენცია აქვს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები სტაბილურად იკლებს და მცირდება საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც. ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამაყარებელი მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია -0.1% (წლილი)



წლიური ინფლაცია 1.5% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მაისში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ჯგუფის ფასებმა 1.9%-ით მოიკლო, რამაც თვის ინფლაცია 0.6 პპ-ით შემცირა. კერძოდ, წინა თვესთან შედარებით სურსათის ჯგუფის ინფლაციის კლება მეტწილად, იმერული ყველის, პურის, კიძრის, კარტოფილის, სულგუნისა და ხახვის ფასების შემცირებამ განაპირობა. თვის ინფლაცია მცირედით შემცირდა დიზელის 5.5%-ით გაიაფებამაც. საპირისპიროდ, საბანკო მომსახურებისა და კომბოსტოს გაძვირებამ თვის ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა.

მაისში წლიური ინფლაციის შემცირება მეტწილად სანავაის, მზესუმზირის ზეთისა და მედიკამენტების ფასების კლებამ განაპირობა. სურსათის ინფლაცია ეტაპობრივად მცირდება და მისი წვლილი მთლიან ინფლაციაში კლებადია. ბოლო თვეებში სანავაის (ბენზინი და დიზელი) თანდათან გაიაფების ფონზე, სანავაის წვლილი ინფლაციაში უარყოფითი გახდა და მაისში ამ მაჩვენებელმა -1.9 პპ შეადგინა. ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიაფებამ წლიური ინფლაცია 0.8 პპ-ით შემცირა. მაისში სურსათის ფასები, წინა წელთან შედარებით, 3.1%-ით არის გაზრდილი, რამაც მთლიან ინფლაციაში 0.9 პპ-იანი წვლილი შეიტანა. სურსათის ინფლაცია მეტწილად ხორცზე, კარტოფილზე და ყველზე გაზრდილ ფასებს უკავშირდება. მიუხედავად ბოლო პერიოდში პურის გაიაფებისა, წლიურ ინფლაციაში მისი კონტრიბუცია კვლავ დადებითია და 0.1 პპ-ს შეადგენს.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატერიალურების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, შემცირდა და 3.9% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ინფლაციის შემცირებას მეტწილად იმპორტული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტულ ინფლაციას მკვეთრად კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. მაისში იმპორტირებული საქონლის წლიური 6.5%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა. დაახლოებით ასეთივე დინამიკა აქვს შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასებს, რომელთა დეფლაცია მაისში 4.2%-ს გაუტოლდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია წინა თვესთან შედარებით 1.5 პპ-ით შემცირდა. თუმცა მისი დონე ჯერ კიდევ მაღალია და მაისში 9.1% შეადგინა. აღნიშნული კლება ძირითადად სურსათის ინფლაციის ეტაპობრივ შემცირებას უკავშირდება. მაღალი ადგილობრივი ინფლაცია ზოგიერთი ადგილობრივად წარმოებული სურსათის (პირველ რიგში პური, ყველი, ხორცი) და მომსახურების წლიურ გაძვირებას (9.7%) უკავშირდება. თავის მხრივ, მომსახურების მაღალი ინფლაცია დიდწილად უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მატების შედეგად მომსახურებაზე გაზრდილი ფასებით შეიძლება აიხსნას. აქედან ყველაზე გამოსარჩევი ბინის ქირაა, რომლის წვლილი მომსახურების ინფლაციაში 0.8 პპ-ია.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილი მთლიან ინფლაციაში




ინფლაცია დეტალურად	2023 წლის წონები	მაი23/აპრ23		მაი23/მაი22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.1%	-0.1%	1.5%	1.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-1.7%	-0.6%	3.3%	1.1%
სურსათი	30.9%	-1.9%	-0.6%	3.1%	0.9%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-2.3%	-0.1%	1.8%	0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.0%	0.1%	9.7%	0.7%
თევზი	0.5%	1.1%	0.0%	6.0%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	-5.2%	-0.3%	9.3%	0.6%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-1.0%	0.0%	-17.0%	-0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	4.0%	0.1%	-12.0%	-0.2%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	-5.0%	-0.2%	6.3%	0.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-1.4%	0.0%	2.2%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	1.4%	0.0%	-0.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.3%	0.0%	6.2%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	1.6%	0.1%	7.1%	0.5%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-0.4%	0.0%	0.0%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	-0.1%	0.0%	3.7%	0.3%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	1.0%	0.1%	5.0%	0.3%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.6%	0.1%	-7.5%	-0.8%
ტრანსპორტი	12.3%	0.0%	0.0%	-12.9%	-1.8%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.5%	0.0%	-3.4%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	-1.3%	0.0%	1.7%	0.1%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	6.8%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.7%	0.0%	11.1%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	6.2%	0.3%	18.4%	0.9%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	-0.6%	-0.4%	-1.0%	-0.6%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	-0.3%	0.0%	0.9%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.3%	0.0%	-9.8%	-0.5%
მომსახურება	24.4%	1.5%	0.4%	9.7%	2.3%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2023 წლის აპრილში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 5.86 მლრდ ლარით გაიზარდა (თვითრად 257.2 მლნ ლარით შემცირდა) და 43.2 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 15.7%-ით გაიზარდა, ძირითადად უცხოურ ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. აპრილში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 824.4 მლნ ლარით (4.1%-ით) გაიზარდა და 21.0 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად სამთავრობო სექტორის დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 201.5 მლნ დოლარით შემცირდა, რაც ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების კლებას უკავშირდება. აპრილში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 482.7 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის აპრილში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით შემცირდა და 6.1% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 8.4%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 0.9%-ს შეადგენს. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები უცვლელია. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 12.1% შეადგინა. ევროს დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით, 1.0%-მდე გაიზარდა. ხოლო, აშშ ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 1.1%-ის ღონეზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, **დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით 1.6 პპ-ით შემცირდა და 51.4%-ს შეადგენს.** აპრილის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 1.2-1.0 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 37.4% და 67.0% შეადგინა. კლებად ტენდენციას განაგრძობს ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია. კერძოდ, აპრილში ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 2.4 პპ-ით 61.9%-მდე შემცირდა.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წლის აპრილში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 13.2%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპი წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა. აპრილში, ლარით დაკრედიტება წლიურად 15.8%-ით, 24.8 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.9 პპ-იანი წვლილი შეიძინა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 10.6%-მდე შენედა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.3 პპ-იანი წვლილი შეიძინა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ცემპის შემცირება ძირითადად ბიზნეს სესხების შემცირებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით შემცირდა, იპოთეკური სესხების წვლილი კი 0.1 პპ-ით შემცირდა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი მცირედით შემცირდა და მთლიან სესხებში 3.5%-იანი წვლილი შეიძინა.

**სესხების წლიური ზრდის დამაკვირვებელი
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლიური ზრდის დამაკვირვებელი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე წლის აპრილში სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.9 პპ-ით გაიზარდა და 14.1% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 14.0%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 2.0 პპ-ით 11.0%-მდე გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნაპაღი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპაღი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და მიმდინარე წლის აპრილში 14.0% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.2% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონედარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მაღალ დონეზეა. კერძოდ, აპრილში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 2.0 პპ-ით 11%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 7.2%-მდე გაიზარდა.


აპრილში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით მოიმატა და 43.8%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით გაიზარდა და 61.1%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია უცვლელია და 29.4%-ის დონეზეა. აპრილში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 7.3 მლნ ლარით გაიზარდა და 444.9 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 42.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


2023 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 2.2%-ით გაიზარდა და 589.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გაღრმავება ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 9.8%-ით, 1,090.6 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 20.4%-ით გაიზარდა და 500.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა

საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2023)




წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


იმპორტი - 2023 წლის აპრილში საქონლის იმპორტი წლიურად 9.8%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან მეტწილად მსუბუქი ავტომობილების, რომელთა დიდი წილი რეექსპორტზე გადის, შესყიდვები გაიზარდა. სამომხმარებლო ჯგუფიდან ასევე მაღალი იყო საცდელფონო აპარატების, სიგარეტები-სიგარილებისა და სამკურნალო საშუალებების შესყიდვები. ამასთანავე, მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტი შემცირდა, რამაც სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის ჯგუფიდან ნავთობის აირებისა და მოსაპირკეთებელი ფილების იმპორტის ზრდა გამოირჩეოდა, ხოლო რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ცერეზობრახნიანი ძრავების იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე საცვრითო ავტომობილებისა და ტრაქტორების შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 23.8%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მალალი წვლილი შეიძლება თურქეთმა, რაც სამკურნალო საშუალებებისა და სიგარეტები-სიგარიტების შემოტანის მატებას უკავშირდება. უკრაინიდან იმპორტი წლიურად მცირედით არის გაზრდილი, ძირითადად ალკოჰოლი და მზესუმზირის ზეთის შემოტანის გავლენით. სომხეთიდან იმპორტის მცირედით მატება სიგარეტები-სიგარიტების მატებამ განაპირობა, ხოლო სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი თითქმის იმავე დონეზე იყო. რუსეთიდან კვლავ გაზრდილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობპროდუქტების იმპორტი. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატებისა და მსუბუქი ავტომობილების, იტალიიდან ჭურჭლის სარეცხი მანქანების, იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, გერმანიიდან მსუბუქი ავტომობილებისა და ტრაქტორების, პოლონეთიდან ტრაქტორების, ნიდერლანდებიდან სამედიცინო ხელსაწყოების, ხოლო ჩეხეთიდან საცელეფონო აპარატების იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, თურქმენეთიდან, ბულგარეთიდან და აზერბაიჯანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მექსიკიდან შაქრის, ხოლო ჩილედან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 63% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


აპრილში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი **მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და სამკურნალო საშუალებებს (23% წილი მთლიან იმპორტში)** ეჭირა. აღსანიშნავია, რომ აპრილში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის აპრილთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (აპრილი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 139	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 66	სამკურნალო საშუალებები, 40	საცელეფონო აპარატები, 26	ნავთობის აირები, 26
		სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 31	გამომთვლელი მანქანები, 13	ტრაქტორები და უნაჭირა საწვარები, 12
			ძვირფასი ლითონების მადნები, 13	სავაჭრო ავტომობილები, 12

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (აპრილი, 2023)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - 2023 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 20.4%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (105.4 პპ) მსუბუქ ავტომობილებმა შეიძინა.** გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ქიმიური სასუქების ექსპორტი წლიურად არსებითად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელო. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო საქონლიდან საცვითო ავტომობილების, ტრაქტორებისა და სამშენებლო მანქანების ექსპორტი მალალი იყო, ხოლო გამომთვლელი მანქანების იმპორტი კი შემცირდა. აპრილში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 19.9%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მაღალი წვლილი შეიძლება აზერბაიჯანსა და სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვნად გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან თურქეთში ელექტროენერგიის, უკრაინაში სპირტიანი სასმელების, მინერალური წყლებისა და ნაცურალური ღვინოების, ხოლო რუსეთში კი ყურძნის ნაცურალური ღვინოების, მსუბუქი ავტომობილებისა და მინერალური წყლების ექსპორტი გაიზარდა. ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მაღალი რეექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-მარტის მსგავსად, აპრილში კვლავ დადებითი იყო. აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საშუალებების მაღალი ექსპორტის გამო, უზბეკეთთან ასევე დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, რუმინეთსა და ლიეტუვაში მინერალური და ქიმიური სასუქების, ჩეხეთში ცურბორეაქტიული ძრავების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, პერუსა და ნიგერიაში მინერალური და ქიმიური სასუქების, ჩინეთში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო იტალიაში კაკლისა და თხილის ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 73% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


აპრილში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე ყურძნის ნაცურალურ ღვინოებს ეჭირა (51%-იანი წილი მთლიან ექსპორტში). საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (35.2 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძლება, რომელიც წლიურად 5-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ელექტროენერგიაზე, სპირტიან სასმელებზე, ყურძნის ნაცურალურ ღვინოებსა და მინერალურ წყლებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 10.1 პპ მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (აპრილი 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 183	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 52		ყურძნის ღვინოები, 22	
	მინერალური /ქიმიური სასუქები, 15	მინერალური წყლები, 13	წყლები, დაგაზიანებული ჩათვლით,...	
	სპირტიანი სასმელები, 14	ელექტროენერგია, 12	სამკურნალო საშუალებები, 11	დაუმუშავებული ღვინო, 7

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (აპრილი 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2023 წლის აპრილში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 20.0%-ით მოიმატა და 369.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 12.0%-ით 28.4 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები აპრილში კვლავ მაღალი იყო (160 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 1.2-ჯერ მეტია. აპრილში, რეგიონის ქვეყნებიდან, თურქეთიდან და ყირგიზეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები კვლავ გაიზარდა, შესაბამისად 13.7%-ითა და 13.9%-ით, ხოლო აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (3.4%-ით). წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ყაზახეთიდან გადმორიცხული თანხები მცირედით ნაკლები იყო, ხოლო უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე დარჩა. მაღალი ტემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (36.7%-ით). **აპრილში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (43.2%), ევროკავშირის ქვეყნები (29.0%) და აშშ (9.3%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (აპრილი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


2023 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.5876-დან 2.5244-მდე (2.4%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.7646-დან 2.7663-მდე (0.1%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.4967 და 2.7441 შეადგინა. აპრილში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.5563, ხოლო მინიმალურმა 2.4967 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


აპრილში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ევროს და ლარის გამყარება, მცირედით გამყარდა სომხური დრამიც. თურქული ლირა და რუსული რუბლი გაუფასურდა, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის აპრილი; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. აპრილში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 18.7%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 30.2%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცვლენციას, წინა თვესთან შედარებით, აპრილში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.8%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 3.3%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. სავაჭრო პარტნიორთაგან აპრილში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ევროზონაში, აშშ-ში, ბელარუსსა და სომხეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - რუსეთში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის აპრილი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5 არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვითრად კონცენტრაცია გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებით მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 394.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 59.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის აპრილთან შედარებით 281.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 7.9%-ით შემცირდა, ხოლო წლიურად 34.2%-ით გაიზარდა.

2023 წლის აპრილში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ გარიგებებით ხდებოდა (99.0%) და 2,997.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 988.7 მლნ აშშ დოლარით (თვითრად 67.7 მლნ აშშ დოლარით შემცირებულია) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 10.8% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 322.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია, ხოლო თვითონ - შემცირებული. საერთო ჯამში, აპრილში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 487.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითონ 24.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,546.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 500.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითონ 43.3 მლნ აშშ დოლარით) და 1,451.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა.


აპრილში სავალუტო ფორვარდ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 9.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითონ 7.8 მლნ აშშ დოლარით) და 29.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 17.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის აპრილში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვითონ 129.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მეტწილად ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლების მიმართულებით უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმების მოცულობის შემცირებამ, ასევე მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

აპრილში სადეპოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩაფარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიციო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და აპრილის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


აპრილში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩაფარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. აპრილში ჩაფარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 60 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 200.6 მლნ ლარით გაიზარდა და 7,044.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 55.7%-ს კომერციული ბანკების, 30.5%-ს ეროვნული ბანკის, 8.7%-ს რეზიდენტების, ხოლო 5.0%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, სადეპოზიციო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა, ხოლო სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მცირედით გაიზარდა. კერძოდ, აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.01 პპ-ით, 9.80%-მდე, გაიზარდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.27 პპ-ით შემცირდა და 9.38%-ს შეადგენდა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.15 პპ-ით გაიზარდა და 9.77% შეადგინა. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 8.70%-ზე შენარჩუნდა. ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი 0.06 პპ-ითა და 0.03 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად 8.73% და 8.74% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



ლარის შავი ბაზრის კურსი




აპრილში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვითრად 3,787.7 მლნ ლარით, (წლიურად 3,283.5 მლნ ლარით გაიზარდა) 9,584.7 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებამ განაპირობა. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (76.6%), რომლის მოცულობაც თვითრად 3,518.5 მლნ ლარით (32.4%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვითრად 269.2 მლნ ლარით (10.7%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.13 პპ-ით გაიზარდა და 10.68% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით პრაქტიკულად უცვლელი დარჩა და 1.68% შეადგინდა.

აღსანიშნავია, რომ აპრილში ფულადი ბაზრის რესურსის 27.0% ერთ თვემდე ვალდებულების დეპოზიტებზე, ხოლო 72.5% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




მონეტარული აგრეგატები

2023 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 447.3 მლნ ლარით (8.0%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.0 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 324.3 მლნ ლარით (5.7%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 85.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 322.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 236.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აპრილში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 121.4 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,392.0 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 248.1 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 675.0 მლნ ლარით შემცირდა და 650.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი უცვლელია. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 19.7 მლნ ლარით შემცირდა და 276.3 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 694.7 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1267.0 მლნ ლარს გაუცოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


2023 წლის აპრილში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 418 მლნ ლარით შემცირდა, უცხოური ვალუტით სადეპოზიტო ვალდებულებების კლების გავლენით. M2 აგრეგატი 628.3 მლნ ლარით გაიზარდა, რაც როგორც ნაღდი ფულის, ასევე ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

